№ 22 29 თებერვალი, კვირა 1866–1876 29 თებერვალი, კვირა № 22

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

განცხადება

საფუძველსა ზედა 92 მუხლისა მეცხრე ტომისა და 30 მუხლისა მესამე ტომისა, აღმორჩევით სამსახურისათვის, მაისის თვეში ამა წელსა გაიხსნების ქუთაისის გუბერნიაში აზნაურთ კრება; ხოლო სამის თვით წინეთ გახსნისა ჩვეულებრივის გუბერნიის კრებისა აზრისამებრ 97 მუხლისა მესამე ტომისა, ჯერ არს რათა გაიხსნას უეზდის კრება, რომელსა შინა უნდა იქნეს განხილული აზნაურების სიმართლე მონაწილეობისათვის საქმეთა და აღმორჩევათა შინა შეკრებილები ამა შემსგავსებით 97—106 მუხლებისა მისვე მესამე ტომისა და საფუძველსა ზედა ქვემო მოყვანილი უმაღლესად დამტკიცებულთ წესდებათა.

ვაუწყებ რა ამაზედ ქუთაისის უეზდის თავად-აზნაურთ უმორჩილესად ვთხოვ გამოცხადდენ ქუთაისში 15 რიცხვისათვის მომავალისა მარტის თვისა და წარმომიდგინონ მე ყოველი საჭირო საბუთები, თხოვნილნი წესდებულებით და თუმც ამ დადებულ ვადაზედ არ გამოცხადდებიან არც წარმოადგენენ საბუთებს და ან არ გვაცნობებენ გამოუცხადებლობის მიზეზს (102 მუხლი მესამე ტომისა), მაშინ შემდგომ დახურვისა უეზდის კრებისა კარგავენ სიმართლეს იქონიონ მონაწილეობა საქმეთა და აღმორჩევათა შინა კრებისა (შენიშვნა 117 მუხლისა მესამე ტომისა). ამასთანავე ვალად ვრაცხ ჩემს თავს ვაცნობო: ა, რომელ, საფუძველსა ზედა უმაღლესად დამტკიცებულისა კვ თებერვალს ჩყოდ წელსა წესდებისა, აზნაურს, რომელიც სარგებლობს პირადათ აღმოირჩიოს პირნი თანამდებობაში, უნდა აქენდეს შემდგომი მამული: ოცი კომლი დროებით ვალდებული ყმა ანუ ოცი კომლი ყმა დასახლებული მის ადგილზედ, ანუ ათას ხუთასი ქცევა მიწა, ქცევას უნდა აქენდეს ოც-და-ათი საჟენი სიგრძე და ოც-და-ათი საჟენი განი;—რიცხვი ყმებისა მოსახლისა და ქცევა ადგილისა უნდა იქმნეს დაფუძნებული ნასყიდობაზედ, უსტავნის ღრამოტზედ, პირობაებზედ და სხვათა სიგელთა ზედა კანონიერისა ფლობისა, და ბ, რომელ, საფუძველსა ზედა უმაღლესავე დამტკიცებულის კ ნოემბერს ჩყოე წელსა აზრის სახელმწიფო რჩევისა, მეოთხე პუნკტი 34 მუხლისა მესამე ტომისა, რომელიც განაწესებს აზნაურის სიმართლეს მონაწილეობასა ზედა და რჩევათა შინა აზნაურთ კრებისა შეცვლილს არს ესრედ: აზნაურს აქვს სიმართლე იქონიოს მონაწილეობა საქმეთა და მოლაპარაკებათა შინა, როდესაც აქვს მეთოთხმეტე კლასის ჩინი მაინც, ანუ რუსეთის ორდენი ანუ ატტესტატი უმაღლესის ანუ საშუალის სასწავლებელის კურსის გათავებისა, ანუ უმსახურნია აღმორჩევითა სამს წელს, ანუ მიროვოის სუდიათ ჩლენათ ღუბერნსკის პრისუტსტვიისა, ქალაქის მოთავეეთ, ანუ ჩლენათ ქალაქის გამგეობაში.

თებერვლის,17, დღესა, ჩყოვ წელსა.

ქუთაისის უეზდის კეთილ-შობილთ წინამძღომელი თ. ნ. წულუკიძე

(3—2)

საქართველო

კენჭის-ყრა

არასოდეს არ ჰქონია ჩვენი ქვეყნისათვის კენჭის-ყრასა და თავად-აზნაურობის წინამძღომელთა ამორჩევას ისეთი მნიშვნელობა, როგორიც წლევანდელს ექნება.

არასოდეს არ ყოფილა საჭირო ისეთი წინდახედულობა და მიუდგომელობა ამ საქმეში, როგორიც ამ ჟამად გვეჭირება.

წინეთაც ბევრჯელ გვითქვამს, რომ ჩვენი ქვეყანა დღე-დღეზე საერო წესისა (ზემსტვოს) და სხვა ახალ კანონების შემოღებას უნდა მოელოდეს. ამას გარდა, თუმცა ამჟამად დარწმუნებით, რასაკვირველია, არავინ იცის, მაგრამ შესაძლებელია, რომ ევროპაში რამ უკმაყოფილება და შეიძლება ომიანობაც ატყდეს.

ამისთანა საქმეებისათვის და ამისთანა დროში საქართველოს თავად-აზნაურობას თავიანი და ღირსეული წინამძღომელნი ეჭირებიან, რომ ამათ თავიანთი რჩევით, ჭკუით, გამოცდილებითა და წინდახედულობით მართლა ნამდვილად წინ გაძღოლა შეეძლოსთ იმ თავად-აზნაურობისა, რომლის წარმომადგენელნი ისინი იქნებიან.

ნუ მოვიგონებთ იმას, რაც იყო დღემდი, როგორ ხდებოდა დღემდი ჩვენში, განსაკუთრებით იმერეთში კენჭის-ყრა და წინამძღომელთა ამორჩევა; ნუ მოვიგონებთ იმას, თუ ხან-და-ხან ამ არჩევის დროს, რამდენათ ჰქონდა ჩვენ თავად-აზნაურობას მხედველებაში საზოგადო სარგებლობა და მიზანი; ნუ მოვიგონებთ იმას, თუ რა წვრიმალი, კერძო ინტერესობით ხელმძღვანელობდა არა იშვიათათ ჩვენი მაღალი საზოგადოება, როცა თავის წარმომადგენელ პირებს ირჩევდა.

სასიამოვნო არ არის ყველა ამის მოგონება, და არც საჭიროა, რადგან ყველას კარგათ ახსოვს.

დღემდი ამორჩეული ჩვენი თავად-აზნაურთა ზოგიერთ წინამძღომლების მოქმედება, ჩვენ თითქო გვარწმუნებდა იმაში, რომ იმათ საზოგადო ცხოვრებაში მაგდენი მნიშვნელობა არა აქვთ.

ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის კი არ იყო, რომ მართლა, კანონით, თავად-აზნაურთა წინამძღომლებს ცოტა უფლება და მოვალეობა ჰქონოდეს მინიჭებული. არა; მიზეზი ის გახლდათ, რომ ზოგიერთნი ისეთი თვისების კაცები იყვნენ, რომელნიც თავის უფლებით სარგებლობას ვერ ახერხებდნენ.

აბა არა იყოს რა, წინამძღომელს ერთი ისეთი უფლება აქვს, რომელიც დიდათ შესანიშნავია და რომელსაც ნამდვილი წინამძღომელი თვით საქმეში გამოიყენებდა: ჩვენ ვამბობთ იმ უფლებაზე, რომ ყოველ წინამძღომელს, თავად-აზნაურთა მინდობილობით, ყოველთვის შეუძლიან პირ-და-პირ უზენაესს მმართებლობას მიმართოს და თავის საჭიროება მოახსენოს, აუხსნას.

მაგრამ, ვიმეორებთ, ზოგიერთ ჩვენ წინამძღომელთ იშვიათად უსარგებლნიათ კანონისაგან მინიჭებულის უფლებებითა.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ გვარი მდგომარეობა ჩვენი თავად-აზნაურთ წარმომადგენლობისა მალე მოისპობა. და მოისპობა იმიტომ, რომ ისინი იძულებულნი იქნებიან საერო, საქვეყნო საქმეებში მონაწილეობა მიიღონ.

ახლა მთავრობამ ისეთ ელემენტს მისცა ხმა კენჭის ყრაში, რომელსაც, უეჭველია, ამორჩევების დროს დიდი მნიშვნელობა ექნება. იმ ახალს კანონზე მოგახსენებთ, რომელიც წელს გამოიცა და რომლის ძალითაც კენჭის ყრაში ყველა უჩინო აზნაურსაც შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს, თუ კი იმას ან საშუალს სასწავლებელში (გიმნაზიაში) და ან უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლესს სასწავლებელში შეუძრულებია სწავლა.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ახლა სხვა დრო და გარემოება მოგველის. და სასიამოვნო იქნება, რომ საქართველოს თავად-აზნაურობამ იმდენი გამჭრიახობა და შორს-მჭვრეტელობა გამოიჩინოს, რომ ამ დროსა და გარემოების შესაფერი, ახალი მოთხოვნილების კარგათ გამგები კაცები ამოირჩიოს თავის წინამძღომლებად.

ამას პირ-და-პირ იმის სარგებლობა, იმის ქვეყნის სარგებლობა მოითხოვს...

დღიური

საჭიროდ ვრაცხთ მოვაგონოთ ჩვენ თავად-აზნაურთ ახლად შეცვლილი კანონი კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ამ კანონის ძალით, მეცხრე ტომის, მეოთხე სტატიის მეოც-და-თოთხმეტე მუხლი ესე შეიცვალა:

„თავად-აზნაურთ კრებებში და არჩევანში კენჭის უფლება მიენიჭება ყველას, ვისაც ან გიმნაზიისა და ან რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის კურსი შეუსრულებია, ან ვისაც სამი წელიწადი უმსახურნია თავად-აზნაურობის არჩევით, ან ვინც მომრიგებელ მოსამართლედ, ან მომრიგებელ შუამავლად, ან საგლეხო პრისუტსტვიის წევრად და ან უპრავისა და ქალაქის გამგეობის წევრად ყოფილა.

ამ ნაირად, დღეის შემდეგ კენჭისათვის, კანონით, ჩინი აუცილებელ საჭიროებას აღარ შეადგენს; ცენზი (მიწა და ნაყმევები) ისევ ძველი დარჩება (ე. ი. მეკენჭეს უნდა ყვანდეს ოცი კომლი დროებით ვალდებული ყმა ანუ ოცი კომლი დასახლებული მის ადგილზედ, ანუ ათას ხუთასი ქცევა მიწა.)

*
* *

დღევანდელ „დროების" ნომერში ქართულ სატეატრო პიესების რეპერტუარს ვბეჭდავთ, რომელიც უფ. პ. დ. უიფიანმა შეადგინა. ამ რეპერტუარში ზოგი შეცდომა უნდა იყოს, უეჭველია, რადგან შემდგენელს ყველა პიესები ხელში არ ჰქონია; ბევრი გაშვებულიც იქნება. ამის გამო უმორჩილესად ვსთხოვთ ყველას, ვინც ჩვენ თეატრისა და ლიტერატურის საქმეს თანაუგრძნობს, „დროების" რედაქციას შეატყობინონ—თუ სად და რასშია ამ სიაში შეცდომა და ან თუ რამ ახალი დრამატული თხზულება იცოდნენ ქართულს ენაზე, ისიც დაგვისახელონ.

*
* *

ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავრობას თითქმის გადაუწყვეტია, რომ მომავალი სამასწავლებლო სემინარია გორს უნდა გაიხსნასო... ესეც ახალი არა საამო ამბავი ქუთაისისათვის.

*
* *

† პეტერბურღიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ ერთი ჩვენებური ყმაწვილი გადაცვლილა, ლევან აბდუშელიშვილი. „საწყალმა ახალგაზდამ ვერ მოითმინა მუხთალი ბედის სდევნა და სხვა-და-სხვა გარემოებათაგან მიყენებულიო ტანჯვაი და ჭლექში ჩავარდნილი უდროოთ გამოეთხოვა

ამ სოფელსაო“,— ასე გეწერს მიცვალებულის ერთი ამხანაგი.

***

ჟუთაისისა და ახალციხის ახალად გახსნილს საზოგადო კრებებს (კლუბებს) ემდურიან. ჟუთაისის კლუბზე, სხვათა შორის, გეწერენ, რომ აქ გვარ-ტომობას ერთობ მომეტებულს მნიშვნელობას აძლევენო და წევრათაც გარჩევით იღებენო და თვით კლუბში სხვა-და-სხვა ტომის წევრთ სხვა-და-სხვა ყურადღება და პატივი აქვსო...

ახალციხის კლუბის დაარსებისათვის რამდენიმე იქაური მოქალაქეები შეკრებილან და რადგან იმ თავით ფული არ ჰქონიათ, ვისაც რა შეეძლო და ეხერხებოდა, ის შეუტანიათ: ერთს სკამები შეუწირავს კლუბისთვის, მეორეს—მდივანი, მესამეს—სარკეები, მეოთხეს—სამზარეულო აეჯულობა, შანდლები და სხვა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს წევრებში რაღაც უკმაყოფილება მომხდარა და, როგორც გეწერენ, ყველას თავ-თავის ნივთი უკანვე წაუღია; კლუბიც, რასაკვირველია, მოშლილა.

***

„სასოფლო ბაზეთის“ უკანასკნელი (3) ნომრიდამ ეტყობულობთ, რომ ქსნის ხეობაში საქონლის ჭირი გაჩენილა, რომელიც მთელს ხეობას მოსდებია, თითქმის მცხეთამდინო, და ბევრ საქონელს უწყვეტავს სოფლებსაო. ეს მესამედ არის, რაც ამ ხეობაში საქონლის ჭირი ჩნდებაო, ამბობს ხსენებული გაზეთი, და კარგი იქნებაო, რომ ვისიც რიგია ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ ხალხის ზარალსაო.

***

ამავე გაზეთში სასოფლო ბანკების თაობაზე იწერებიან:

„ეს მეორე წელიწადია, ჩვენში სასოფლო ბანკებზე მარტო ლაპარაკი კი აღარ არის, სწორეთ საქმესაც შეუდგნენ. ამ ახლო ხანებში ქახეთში და საგარეჯოში ოთხი ბანკი გაიმართა, ქართლშიაც ერთი. ამას გარდა ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართლში: ახალქალაქში, ქარელში და ავლევში ლაპარაკი აქვთ ბანკების გამართვაზე და მცირეს ხანში მთავრობას წესდება უნდა წარუდგინონ.

„როდესაც ახლა მართლა საქმე იწყება, საჭიროა, რომ საქმეს კარგი ყურადღება მიესცეთ და ვისურვოთ საფუძვლიანი და მკვიდრი წარმატება.“

„დროების“ კორესპონდენცია

დ. საჩხერიდამ, 18 თებერვალს

აწ განსვენებულმა და საუკუნოდ ლირს-სახსოვარვა მიხაილ სვიმონისძემ ბორონცოვმა, სხვათა შორის, უგზობით დახჩულ ხალხს ყურადღება მიაქცია: პირველად თფილისის ფოჩტის გზა შამოიყვანა საჩხერეში და აქედან გაატარა ყვირილის სტანციაზე; იქ შეუერთდებოდა ეხლანდელ გზას ჟუთაისამდე.

ამით შესძინა, როგორც ხალხს ისრე ხაზინას, ერთი, რომ ერთი ფოჩტით ნაკლე საჩხერის გზა ეხლანდელ გზაზე უხლოვდებოდა თვილისი ჟუთაისს; მეორე, რომ აცილებული იყო სურამის ქედს, რომელიც არა თუ ფოჩტას, მაშინასაც აბრკოლებს.

ეგრეთვე საჩხერიდან რაჭაში, რაჭიდამ ლეჩხუმში, ლეჩხუმიდამ სვანეთში, კიდევ რაჭიდან დიდგორ-ბასიანში.

შემდეგ ვარანცოვისა, გზები წახდენ და აღარ მიაქციეს ყურადღება, თუმცა მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს გზები უნდა განახლებულიყო. იმერლებმა გააკეთეს ეს ძველი ფოჩტის გზა ჯვრამდი, სადაც ძველათ სამძღვარი იყო იმერეთსა და ქართლს შუა და დღესაც გაყოფს ჟუთაისის ღუბერნიას თფილისისაგან.

ამ გზის გაკეთება ეკუთვნის ბორის მაზრის მმართველს, რომელიც სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ხალხი შევიწროებული არის და იღუპება, როგორც გლახა გზისაგან და მთის ღელეებისაგან, ეგრეთვე ავაზაკებისაგან გზაზე. ორი საათის სასიარულო, სოფ. ჯვრიდან ალიამდი, უნდა იარო წყალ-წყალ ორი და სამი დღე და ვაი იმ გასვლას, ალში რომ გახვალ. ბინა ალპიის მთა გაგეელოს ზამთარში, ბევრათ უფრო ადვილი უნდა იყოს; იქ, ვინიცობაა, იღუპებოდე, იმედი მაინც გაქვს სან-ბერნარის ძაღლები გიშველიან, და აქ უნდა იარო უგზო-უკელოთ, ისიც წყალ-წყალ, ორასჯერ რომ გახვიდე ერთსა და იმავე წყალში ცოტა არის, ყოველ მინუტში თულებს ოსებს უნდა მოელოდე და ან სხვა უბედურებას.

მართალია, იმერლები უფრო დადიან ქართლში, ვიდრე ქართლელები იმერეთში, და იქნება მისთვის არ აკეთებდეს ბორის მაზრა ამ გზა?

მაგრამ ძალიან მცირე თავის გასამართლებელი არის ეს საბუთი.

ეგრეთვე ჩვენ შორაპნის მაზრის მმართველს ესთხოვთ, ყურადღება მიაქციოს შემდეგ გარემოებას: დ. საჩხერეში ჩამოდის ერთი გიჟი წყალი, რომლისაც სახელი ამტკიცებს იმის ხასიათს: „ყვირილა.“ უხიდობისაგამო, ადრე წელიწადში, საშუალი რიცხვით, ხუთ დამხრჩვალ კაცს მაინც ჩაუტანდა საჩხერიდან ზესტაფონს და გაურონიებდა თვალის წინ მართველს.

მაგრამ ამ თორმეტი წლის წინეთ ერთმა გლეხ კაცმა დ. ბ. გააკეთა საჩხერეში ფიცრის ხიდი ურკინოთ ყვირილაზე. ამ ხიდის წყალობით რომ ვიანგარიშოთ, თორმეტ წელიწადში დამხრჩვალი იქნებოდა უკანასკნელი სამოცი სული და ამ სამოცი კაცის დახსნა, ეგონებ, დიდი საქმე იყოს.

ეს ანგარიში გახლავს იმ დროსი, როდესაც მომრიგებელი მოსამართლე არ გვყოლია საჩხერეში, და დიდ წყლიანობაზე ძალას არავინ ატანდა ხალხს მოსელაზე, და დღეს, როდესაც ჯარიმისაგან შეშინებული ავათმყოფები, ღრმა მოხუცებულები მოდიან თხილამურებით ამ საშინელ თოვლში და დილით საღამომდინ იცდიან კარში მოსამართლეს სახლის წინ: როდის დაგვიძახონ, შევიდეთ ოთახში, ჯარიმა არ გადაგვახდევინონო.— და წყალი როგორ დაიკავებდა ხალხს.

სხვიტორელი

ახალ-სენაკი, 15 თებერვალს

თითქმის ნახევარი ცხოვრების გზა გამოვლილა და არსად დავსწრებივარ ისეთი საწყალი გლეხების ტანჯვას, როგორც დავეწარი ამ დღეებში ახალ-სენაკიდან ნოქალაქევამდე (16 ვერსტია), სადაც მდ. ტეხურზედ ხიდს აკეთებენ ერთი არხიტექტორის გვარად, როგორც გავიგე, რაისის პლანით. ამ არხიტექტორის წყალობით თითქმის მთელი სენაკის უეზდის გლეხები, ასი მანეთისათვის, ტანჯვისათვის მსხვერპლად მიუციათ.

არხიტექტორი რაისის მიზეზით მდ. ტეხურის ხიდის მასალები მოწყობილი იყო ახალ-სენაკს და არა ადგილობრივ იქ, სადაც კეთდებოდა ხიდი. მეტი რა ღონე იყო, უნდა გარდაეტანათ ახალ-სენაკიდან ნოქალაქევს მოწყობილი მასალები. მაგრამ იმ უხეიროს იმ გვარად გარდაუბამს რამდენიმე დიდრონი ხეები ერთმანეთზედ, რომ გამოუყვანია უზარმაზარ ხეებად, რომლებსაც სიგრძე ქონდა ოც-და-ხუთ საჟენზედ მეტი, სისქე და სიგანე ნახევარ არშინამდე. ამ ზომის ხეები იყო თუთხმეტი, და რადგანაც სხვა საშუალობა ვერ ნახეს (?) წაღებისა გადატანა დააწვა სენაკის უეზდის გლეხებს...

თითო ხეს უნდებოდა ას-ექვსი კაცი. ახალ-სენაკის რომ გადიდებდენ საწყლები მხარზედ ამ ვებერთელა ხეებს ჯოხებზედ დაკრულს კივილ-ყვირილით და ვაი-ვაგლახით უნდა მიეტანათ ნოქალაქევს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ რომ ამ მძიმე ტვირთის ქვეშ უნდა გაეარათ თექვსმეტი ვერსი.

ამდენ კაცებში ყველა ერთი ღონის არ იქმნებოდა, ზოგი მოხუცებულობით და ზოგი სხვა მიზეზებით. ამიტომ ზოგიერთი უღონოები ვერ უძართავდნენ ღონიერებს აღულეს და ტვირთის სიმძიმისაგან ეცემოდნენ ძირს ტალახში?!...

ორი იმ უღონო მუშებთაგანი დაეცნენ მიწაზედ გრძნობა-დაკარგულები. დაადგნენ თავს მოურავები და რაც შეეძლოთ სცემეს. ბევრი იყვირეს საწყლებმა, მაგრამ ამათი ტირილ-ყვირილი ვის ესმოდა?! როცა მეტის-მეტი ცემისაგან საწყლები დაიწყებას მიეცნენ, მაშინ კი დაანებეს თავი... ზზაზედ ბევრი დადიოდა მგზავრები, შეეწყალათ მადლიანებს და შარაზედ გადგებული კაცები წაათრიეს: ერთი, რომელიც უფრო მოხუცებული იყო, ის მახლობელ კაცის სახლში შეიყვანეს და მეორემ ძლივსღა წამოილაპარაკა: — პოლიციის უნახავად ნუ მოშკლავთო, და ამისთვის ისევე დააბრუნეს ახალ-სენაკს.

თავი მივანებოთ; რაც მოხდა, ხომ მოხდა; მაგრამ ნეტა რისთვის, ნეტა ღირდეს ტანჯვათ! ასი მანეთისთვის! როგორც ზევით მოგახსენეთ, სულ იყო დიდრონი ხეები კაცის წასაღები თუთხმეტი; ამ თუთხმეტ ხეს მოუნდა ათას ხუთას ოთხმოცდა ათი კაცი. ახლა იმათი ხელოსნები (ათზე ერთი), ესეც სულ ათას შვიდასი. რაც წვრილმანი ხეები დარჩა და შეიძლებოდა ურმით წაღება, იმის იქით-აქეთ გადატან-გადმოტანაში უკანასკნელი მაინც მოუნდებოდა ხუთასი ურმიანი ხარ-კამეჩი, და დღის რიცხვიც რომ დავამატოთ, ერთი თვე,— რა ეღირება?

ბღეხი პავლია მღვიძარაძე

წეს-დება

მიხაილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ჟუთაისს

—

§ 71. დამფასებელი კომმისიის ვალდებულება არის, რომ მან დასაგირავებელის ადგილის დაფასება შეამოწმოს, საყოველთაო კრებისაგან დამტკიცებულის დარიგების თანახმად. თავის მოქმედებათ ანგარიში დამფასებელი კომისია წარადგენს ყოველს ნახევარ წლობით ზედამხედველს კომიტეტში, ბანკის გამგეობის საშუალებით.

§ 72. რომ გამგეობისა და დამფასებელი კომმისიის გარდაწყვეტილებას ძალა ჰქონდეს, საჯიროა რომ სხდომაზედ სამი წევრი მაინც იყოს. ბანკის გამგეობისა და დამფასებელი კომმისიის გარდაწყვეტილებანი დაიდებიან ხმის უმრავლესობით; თუ ხმები თანასწორად გაიყო, თავს-მჯდომარის აზრი გადასძლევს. ბანკის გამგეობისა და დამფასებელი კომმისიის გარდაწყვეტილებანი ჩაიწერებიან ჟურნალებში და ზედ სხდომაში დამსწრე ყველა წევრნი ხელს მოაწერენ. იმ კითხვების გარდასაწყვეტლად, რომელნიც წარმოსდგებიან გირაოთ შესატანის ქონების დაფასების დროს, შეიძლება დაინიშნოს, გამგეობის თავსმჯდომარის მოწოდებით, შეერთებული სხდომა გამგეობისა და დამფასებელის კომმისიისა. სამმართველოებსა და სამსაჯულოებში წარსადგენი ჟურნალებისაგან გამონაწერები და აღსრულებითი ქაღალდები ხელმოწერილი უნდა იქმნენ თავს-მჯდომარისა და ერთის გამგეობის წევრისაგან.

---

*) როგორც გავიგე, ადგილობრივი მართებლობა მსურველი იყოო, რომ ხიდის მასალები იქ უნდა მოეწყოთ, სადაც აკეთებენ ხიდს, რადგანაც ხეები მდ. ტეხურით იყო ჩამოტანილი და ნაკლები შრომა გავიდოდა, იქვე რო ამოყრიდენ ხეებს; მაგრამ რაისს უთხოვია იქაური პლანის მიცემისათვის ორასი მანეთი და ახალ-სენაკს თუ ჩამოიტანდნენ, ასს მანეთად თანახმა გამხდარა.

§ 73. შინაგანი რიგი საქმეთ წარმოებისა და ანგარიშის წარმოებისა, ანგარიშის მიცემისა და რიგი სამსახურში სხვა და სხვა პირთ განწესებისა, მათის დათხოვნისა, აგრეთვე უფლებანი და წრე მუშაობისა ბანკის მოსამსახურეთა, აგენტთა და ვექილთა დაიდგინებიან გამგეობისაგან ცალკედ შედგენილის დარიგების თანახმად.

§ 74. გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრთა, ნაღდი შემოსავალის ნაწილს გარდა, რომელიც განსაზღვრულია ამ წესდების § 94-ით, ეძლევათ ჯამაგირი ზედამხედველის კომიტეტისაგან გარდაჭრილის და საყოველთაო კრებისაგან დამტკიცებულის ზომით.

§ 75. გამგეობისა და დამფასებელი კომმისიის წევრნი პასუხის-მგებელნი არიან მაშინ, თუ იმათ დაარღვიეს წესდება და ზედამხედველის კომიტეტის და საყოველთაო კრების კანონიერნი დადგინებანი; მაგრამ პასუხს არ აგებენ მესამე პირთ წინაშე იმ ვალდებულებათათვის, რომელთაც ისინი ბანკის სახელით მიიღებენ.

(გაგრძელება)

ქართული რეპერტუარი

(შედგენილი ქ. დიმ. ყიფიანისაგან).

ნამდვილი ქართული თხზულება:

დრამები და ტრაგედიები:

1 „მართა“, 5 მოქმედებად. თხზ.
2 „დიდ-მოურავი“, 5 მოქმედებად—ანტ. ფურცელაძისა.
3 „ვეფხვის ტყაოსანი“, 5 მოქმედებად—თხზ. მეფე ფარნავზისა.
4 „ყვარყვარე ათაბაგი“, 5 მოქმედებათ—თ. გ. ერისთავისა.
5 „მაიკო“ 3 მოქმედებათ—თხზ. გ. ერისთავისა.
6 „რევაზ და ნინო“, 3 მოქმედებად—თ. ი. ბარათაშვილის.
7 „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო“, 4 მოქმედებად—თ. ა. ვ. ორბელიანისა.
8 „შვილი უმანკოებისა“, 5 მოქმედებად—ივ. ივ. კერესელიძისა.
9 „შური“, 3 მოქმედებად — კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.
10 „შალვა“, 5 მოქმედებად — დავით ნაცვლიშვილისა.
11 „სიყვარული ახალგაზდა ქალისა“, 3 მოქმედებად კონსტ. კოლუბანსკისა.
12 „მოროლი“, 3 მოქმედებად ზ. ანტონოვისა.
13 „თილისმის ხანი“, 3 მოქმედებად—გ. ერისთავისა.

კომედიები:

14 „რას ვეძიებდი და რა ვპოვე“, 3 მოქმედებად—კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.
15 „ცოლები დავკარგეთ“, 2 მოქმედება—ივ. ივ. კერესელიძისა.
16 „ბრუნავის ტოლები“, 1 მოქმედებად—თ. რაფიელ ერისთავისა.
17 „ქმარი ხუთის ცოლისა“, 2 მოქმედებად—ზ. ანტონოვისა
18 „გლახა ჭრიაშვილი“, 1 მოქმედებად—თ. ილია ჭავჭავაძისა.
19 „ჭორი“, 2 მოქმედებად—ლ. ს. ისარლოვისა.
20 „ეჭვიანი“, 2 მოქმედებად—ლ. ს. ისარლოვისა.
21 „სიყვარული სასმელი“, 1 მოქმედებად—თ. გიგო ორბელიანისა.
22 „შეშლილი“, პოემა, 2 მოქმედებად—გ. ერისთავისა.
23 „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, 2 მოქმედებად—რაფიელ ერისთავისა
34 „ბედნიერი ქორწილი“, 2 მოქმედებად—ალექს. ცხვედაძისა.
25 „სიმართლე თავისას გაიტანდა“, 2 მოქმედებად—თ. ივ. ბარათაშვილისა.
26 „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა, ისიც მიემატა“, 2 მოქმედებად. თხზ.—თ. ვას. ალ. თარხან-მოურავისა.
27 „ჯიბრი“, 2 მოქმედებად—გ. წერეთლისა.
28 „დავა“, 4 მოქმედებად—თ. გ. ერისთავისა.
29 „პატარძალი“?

29 „პატარწონა“, 1 მოქმედებად—დ. მეღვინეთხუცესოვისა.
30 „გვევო,მინას დაკამპანია“, გადაკეთებული კომედია 3 მოქმედებად—თ. დ. გ. ერისთავისა.
31 „ჩვენი ნაცარქექიები ანუ ორი ვირისთავი“, 2 მოქმედებად—აკ. წერეთლისა.
32 „დიმიტრი დაყუდებული“, 3 მოქმედებად—პ. წულუკიძისა.
33 „ტიეით მოგზაურობა“, 2 მოქმედებად—ზ. ანტონოვისა.
34 „მზის დაბნელება“, 3 მოქმედებად—მისივე.
35 „ქმარი ხუთის ცოლისა“, 2 მოქმედებად—მისივე.
36 „ხევსურთ ქორწილი“, 1 მოქმედებად—მისივე.
37 „მინდა კნეინა გავხდე“, 2 მოქმედებად—მისივე.
38 „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ 2 მოქმედებად — მისივე.
39 „ქრმები გავაბით მახეში“, 3 მოქმედებად. მეიფარიანისა.
40 „გაყრა“, კომედია, 3 მოქმედებად —თ. გ. ერისთავისა.
41 „ძუნწი“, კომედია ორ მოქმედებად—მისივე.
42 „თილისმით მოარშიყე“, კომედია 2 მოქმედებად—მისივე.
43 „ძალათ ექიმი“, კომედია 2 მოქმედებად—მისივე.
44 „უჩინ-მაჩინის ქუდი“, კომედია 1 მოქმედებად—მისივე.

ამ კომედიებში გამოტოვებულია:
1) „ძველსა და ახალს შუა“ 3 მოქმედ. აკაკი წერეთლისა.
2) „ადვოკატი“ იმისივე და
3) „მკითხაობა“ კნა ბარბარე ჯორჯაძისა.

ვოდევილები:

45 „ჩვენ გვინდა აქტიორობა ანუ დილა ტეატრის დირექტორისა“, 1 მოქმედებად. გიგო ორბელიანისა.
46 „უბედური მოარშიყე“, 1 მოქმედებად—დ. მეღვინეთხუცესოვისა.
47 „ლოტო“, 1 მოქმედებად—თ. ს. აბაშიძისა.
48 „ხუმრობა“, 2 მოქმედებად. თხზ. გარდანქეშელისა.
49 „წავიდა ის დრო“, 1 მოქმედებად—ანტ. ფურცელაძისა.
50 „არზა“, 2 მოქმედებად. ვას. თარხან-მოურავისა.
51 „რასაც ქალი ისურვებს“ 2 მოქმედებად. ი. ი. ყიფიანისა.
52 „დაბურდული საქმე“, 1 მოქმედებად. აკაკი წერეთლისა.

თარგმანი:

ვოდევილები.

53 „ღამე ქორწილის წინ“, 2 მოქმედებად - სოლოგუბისა, თარგმანი ანტ. ფურცელაძისა
54 „გაწყვეტილი ვახშამი, ანუ მეტი კარი უცოლო კაცის ოთახში“, 1 მოქმედებად, თარგ. ა. გამრეკელისა.
55 „ცელქები“, 1 მოქმედებად. თხზ. კრუგლოპოლოვისა. თარგ.
56 „მოტია“, 1 მოქმეოებად-ტარნოვსკისა. თარგ. ა. ჭიჭინაძისა.
57 „ძველი მათემატიკოსი“ 1 მოქმედებად. თხზ. ა. და გ.-სა. თარგმ.
58 „ცოლები დავკარგეთ“, 2 მოქმედებად. თარგმ. ი. ი. კერესელიძისა.
59 „გრაზიანი ამერიკელი“ 2 მოქმედებად. თხზ. თარგმ.
60 „ყვავი ფარშევანგის ფრთებით“, 1 მოქძედებად. თხზ. — — თარგ.
61 „სამი ვარსკვლავი“, 1 მოქმედებად თხზ. — — თარგ.
62 „დგმური ტრომბონით“, 1 მოქმედებად. თხზ. — — თარგ.
63 „ეჭვიანი ქმარი და მამაცი არშიყი“, 1 მოქმედებად. თხზ. — — თარგ.
64 „ხუმრობა დიდ ‚შარაზედ“ 1 მოქმედებად. თხზ. — — თარგ.
65 „აი რა ოინი მოუვიდა ბიძიას“, 2 მოქმედებად სომხურიდამ თარგმანი ტერ-დავით იარალანცისა.
66 „საუზმე მარშლისას“. ვოდევილი. თხზ. — — თარგმანი.

კომედიები:

67 „უბედური ჭკუისაგან“, 4 მოქმედება. გრიბოედოვისა, თარგმანი გ. წინამძღვაროვისა.
68 „მოჭიკჭიკე ჩიტები“, ოპერეტკა 2 მოქმედებად. თხზ. ოჶენბახისა, თარგმანი ქ. ბერძენოვისა.
69 „მშვენიერი ელენე“, ოპერეტკა. 2 მოქმედებად, თხზ. ოჶენბახისა, თარგმანი თ. დ. გ. ერისთავისა.
70 „ცოლის შერთვა“, 2 მოქმედებად. თხზ. გოგოლისა, თარგმანი კონსტ. დიმიტ. ყიფიანისა.
71 „ფიგაროს ქორწინება“, 2 მოქმედებად. თხზ. ბომარშესი. თარგმ.
72 „შემოსავლიანი ადგილი“, 3 მოქმედებად. თხზ. ოსტროვსკისა. თარგმ.
73 „ქუხილი“, 3 მოქმედებად. თხზ. ოსტროვსკისა. თარგმ.
74 „რევიზორი“, 3 მოქმედებად. თხზ. გოგოლისა, თარგმანი გ. ი. სულხანოვისა.
75 „ცოლის შერთვევინება“, კომედია 2 მოქმედებად. თხზ. მოლიერისა, თარგმანი დიმიტრი ყიფიანისა.
76 „მაწვილების შეცდომაები“, კომედია 5 მოქმედებად.
77 „პეპო“, 3 მოქმედებად. თხზ. სომხურზე გ. სუნდუკიანცისა; თარგმანი მისივე.
78 „ხათაბალა“, 3 მოქმედებად. თხზ. მისივე, თარგმანი ტერ-დავით იარალიანცისა.
79 „კიდევ ერთი მხვერპლი“, 3 მოქმედებად. თხზ. მისივე, თარგმანი მისივე.
80 „სკაპენის ცუღლუტობა“, 3 მოქმედებად. თხზ. მოლიერისა. თარგმანი აკაკი წერეთლისა.
81 „სგანარელი“ კომედია 1 მოქმედებად. თხზ. მოლიერისა. თარგმანი ელ. დიმიტ. ყიფიანისა.
82 „სიყვარული და ცრუმორწმუნოება“, 3 მოქმედებად. თხზ. მილიერისა. თარგმანი ტერ-დავით იარალიანცისა.
83 „ჟორჟ დანდინი“, კომედია 3 მოქმედ. თხზ. მოლიერისა. თარგმანი ს. მესხისა.

დრამები და ტრაგედიები:

84 „ვილჰელმ ტელი“, 5 მოქმედებად. თხზ შილლერისა. თარგმანი ნიკ. ავალოვისა.
85 „მეფე ლირი“, დრამა 5 მოქმედებად. თხზ. შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა და ილ. ჭავჭავაძისა.
86 „ვირგინია“, ტრაგედია 5 მოქმედებად. თხზ. ალჶიერისა. თარგმანი ი. ი. ბაქრაძისა.
87 „იულიუს კეისარი“, დრამა 5 მოქმედებად. თხზ. შექსპირისა. თარგმანი მიხ. ზაალ. ყიფიანისა.
88 „ფიესკოს შეთქმულობა“, დრამა 5 მოქმედებად, თხზ. შილლერისა. თარგმანი ნიკ. ავალოვისა.
89 „მამა და შვილი“, ტრაგეტია 5 მოქმედებად. თხზ. ალჶიერისა. თარგმანი ი. ი. ბაქრაძისა.
90 „ზაირა“, ტრაგედია 5 მოქმედებად. თხზ. ვოლტერისა. თარგმანი დავით ფურცელაძისა.
91 „ესთერ“, ტრაგედია 5 მოქმედებად. თხზ. რასსინისა, თარგმანი ალ. ჭავჭავაძისა.
92 „მედეა“, ტრაგედია 3 მოქმედებად. თხზ. — თარგ. ი. ი. კერესელიძისა.
93 „ცინნა“, ტრაგედია 5 მოქმე-

დებად. თხზ. — — თარგმანი ალ. ჭავჭავაძისა.

+ 94 „ჰამლეტი“, ტრაგედია 5 მოქმედებად. თხზ. შექსპირისა. თარგმანი ლ. არდაზიანისა.

95 „მეფე Ciმბელლინი“, ტრაგედია 5 მოქმედებად. თხზ. შექსპირისა. თარგმანი — —

+ 96 „ეგმონტი“, დრამა 5 მოქმედებად. თხზ. ბიოტესი. თარგმანი ბ. წერეთლისა.

97 „კლავიგო“, დრამა 5 მოქმედებად. თხზ. ბიოტესი, თარგმანი — —

98 „ტიურკარე“, დრამა 1 მოქმედებად. თხზ. — — თარგმანი — —

99 „ბალილეი“, დრამა—მოქმედებად. თხზ. — — თარგმანი.

+ 100 „ორი ვერონელი აზნაური“, დრამა 5 მოქმედ. შექსპირისა. თარგმანი ინგლისურიდამ დიმიტრი ყიფიანისა.

+ 101 „რომეო და ჯულიეტა“, დრამა 5 მოქმედ. შექსპირისა. თარგმანი ინგლისურიდამ დიმიტრი ყიფიანისა.

+ 102 „ვენეციელი ვაჭარი“, დრამა 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგმანი ინგლისურიდამ დიმიტრი ყიფიანისა.

103 ბაბალეს თითისტარი“, კომედია ფრანც. თარგმანი დ. ყიფიანისა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ქუთაისს ეუბერნიის სტამბაშიდ:

ქართული ანბანი, სასაროგეგო წრთვნანი ახალ მოსწავლეთ ყმაწვილთათვის. პირველი საკითხავი წიგნი.

შინაარსი: ქართული ანბანი.— ბოროტიკონი ანბანებისა.— ანგარიში ელისა.—ნიშნები ანუ ციფრები მიმრავამდის. — ანბანებზედ თქმული ოცდ ოთხ გვარები. — მუშა ხარისაგან ქმული— პროპისი ანბანებზედ შეწყობილი.—ანდაზები,—ჭკუის მასწავლებელი სიტყვები მცირეს მტერზედ ქმული.—მოსწავლეს და მასწავლელის შესხმა.—რუს ხელმწიფისა და თქრის ლექსი სიმღერისათვის.— ოდენი მოთხრობა კატეხიზმოტორი ამ წიგნისა მოძღვართ-მოძღვარი მღვდელი ლუკა ჩოგბახიძე.

დიდის ხნის ბრენდით მიიცემა ადგილი 117 დესიატინა სარწყავი მიწა მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. საგარეჯოს პირ-და-პირ, სახელად „ბერებისა“. პირობების შესატყობლად მსურველს შეუძლია უფ. დემენტიევს მიმართოს, არსენალის ქუჩაზე, ალდადანოვის სახლებში, № 27

(2—2)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი.

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—17

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში არს. ქალანდაძის ქართული წიგნის მაღაზიაში და ყვირილაში ბლაღოჩინ დავით ღამბაშიძესთან

სახელმძღვანელო წიგნი სოფლის მღვდლებთათვის, შესრულების დროს მათგან საიდუმლო ქორწინებისა და ნათლის ღების, დამატებითა სხვა და სხვა მღვდლისაგან მისაცემი მოწმობაების, საეკლესიო საბუთების, წარმოების ფორმებთა და ასოებზე დაწყობილი ყველა წმინდანების სახელითა მამათ სქესისა ცალკე და მდედრთა-ცალკე, ჩვენებითა მათი დღესასწაულობის დროთა.

შედგენილი მღვდლის დავით ღამბაშიძისაგან,

ფასი სამი აბაზი.

ეს წიგნი განიხილა უწმინდესის და უმართებულესის სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორას და სასარგებლოდ და საჭიროდ იცნო ყველა მღვდლებთათვის.

6—6

ქავკასიის საბჭიო ინსტიტუტი

სამშობიარო ღუშპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ღუშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 9½-მდი დოქტორი ერტემიევი და 9½-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და ერტემიევისა.

საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყვების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

ПРЕИС-КУРАНТИ:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.

უმთავრესი დეპოს არის თფილისში, დეორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—ქურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრიბლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თმის საღებავი. 54—9

					II კ.		III კ.	
	9	36	4	54				
	—	—	—	—	-	68	-	38
	12	21	8	41	2	40	1	23
	2	—	11	10	3	92	2	18
	—	—			4	42	2	46
	—	—			5	81	3	23
	8	23			6	75	3	75
	—	—			7	73	4	29
	—	—			8	57	4	76
	11	44			9	75	5	42
	8	40						
	—	—			1	18	-	66
	—	—			2	6	1	14
	11	51			3	4	1	69
	—	—			3	98	2	21
	—	—	ღამე		5	33	2	96
	5	41	1	6	5	84	3	24
	7	23	3	6	7	36	4	9
		—			9	8	5	4
	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის ბეჭედი

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე

სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—ოთხშაბათს, დილით.

ოდესას—ოთხშ.ბათს, შუადღეზე.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი.	4	„	3	„	1	„
ბერჩამდი.	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქალეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 26 თებ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
მსკონტი(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი(პირველისესხი)	226	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	94	—
ხერსონის ბანკის (5½)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	86	75
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ.რკინ.გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 29 თებერვ.		
პური შორაგალის ფთ.	—	90
ქერი ფუთი. . . .	—	55
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	50
—ამერიკისა, ფუთი. .	6	30
ბ ინტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	50
—მარაქამისა ფთ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	63
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბოლ. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გრგვალი ფუთი.	22	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	6	15

цензурою. Тифлисъ, 29 февраля 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.